ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სისტემების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV- 65100000

2016 წელი 30 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.---------- 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია---------- 4

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი---------- 6

4. რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და მოქმედების ვადა /დანართი 1/------ 10

5. სასმელი წყლის სისტემების ჩამონათვალი /დანართი №2/---------- 11

6. ფასების ცხრილი /დანართი №3/ ---------- 17

7. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ /დანართი №4/ ----- ---------- 18

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სისტემების (სათავე-ნაგებობების, ჭაბურღილებისა და წყალსადენი მილების) ტექნიკური მომსახურება.
ტექნიკური პირობები: სასმელი წყლის სისტემების ადგილმდებარეობა და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დანართი №2-ში.
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 100 000(ასი ათასი) ლარი.

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:
მიმწოდებელმა მომსახურების გაწევისას უნდა უზრუნველყოს:

- შემსყიდველის დავალების შესაბამისად დანართი №2-ში აღნიშნული ჭაბურღილებისა და წყლის სისტემების ყოველდღიური ექსპლუატაცია.
- დაზიანებული უბნების აღდგენა, პროფილაქტიკური და მიმდინარე შეკეთება.
- მომსახურების გაწევის პერიოდში საჭირო ინვენტარის შეძენა საკუთარი სახსრებით.
- სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზის გაკეთება საჭიროების შემთხვევაში.
- არსებული სასმელი წყლის რეზერვუარების გარეცხვა ქლორიანი წყლით საჭიროების შემთხვევაში.

3. სხვა მოთხოვნები

3.1 გამოცდილება:
3.1.1 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის მომსახურების გაწევის გამოცდილება უკანასკნელი სამი წლის(2014, 2015, 2016) განმავლობაში არანაკლებ 160000(ას სამოცი ათასი) ლარის ოდენობით, რის დასადასტურებლადაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, საგადასახადო ანგარიშფაქტურები ან ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული სამუშაოების შესრულების ფაქტს. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.
ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N2 შესაბამისად.

3.2 მომსახურების გაწევის პირობები:
3.2.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.2.2 მიწოდების ადგილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.
3.2.3 წყლის მაგისტრალის დაზიანების შემთხვევაში მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რის საფუძველზეც მიმწოდებელი ახორციელებს პროფილაკტიკურ და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

3.3 სატენდერო წინადადების ფასი:
3.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

შენიშვნა: ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტით სხვაობის შემთხვევაში, მომწოდებელმა 5(ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და ამ ფასად მომსახურების განხორციელების შესაძლებლობა სსიპ **„ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან** სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის

შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

3.4 ანგარიშსწორების პირობები:

3.4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.4.2 ანგარიშსწორება მოხდება 2017 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად წარმოდგენილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მოთხოვნიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3.5 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.5.1 რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით.

3.5.2 გასაწევი მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის დადასტურება /დანართი№2/.

3.5.3 ხარჯთაღრიცხვა(ფასების ცხრილი) დანართი №3 მიხედვით.

3.5.4 ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ გაწეული ანალოგიური სახის მომსახურების შესახებ დანართი №4-ის მიხედვით.

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

4.2 სუბკონტრაქტორის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შემსყიდველთან შეთანხმებით.

4.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №25. საკონტაქტო პირი: ვალერიან კვიჟინაძე, ტელ: +995 599 44 56 75.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ(პროექტი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის ---------- ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს გიორგი ბოკერიასა (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული **SPA**---------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სისტემების ტექნიკური მომსახურება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: **CPV** 65170000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი /ინსპექტირების ჯგუფი/.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ვადაა - 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით

(შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.5 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი) ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (გაწეული მომსახურების შესახებ).

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს აქტში მითითებული თანხის შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით) ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12 გარანტია

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

12.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური

თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება საჯარიმო სანქციის სახით „შემსყიდველის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ დღეზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

19. შეტყობინებები

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ----------.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და თითო-თითო ეგზემპლარი ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხოლო ერთი პირი გადაეცემა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფს.

22.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

22.6. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

25. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
---	---

დანართი №1

1. რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა

პრედენდენტის დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

/პრეტენდენტის დასახელება/

დირექტორი: /ხელმოწერა/

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული სასმელი წყლის სისტემების ჩამონათვალი

№	თემის დასახელება	მაგისტრალი მმ	მაგისტრალის L გრძ.მ.	მაგისტრალის კვება	სათავე ნაგებობების ადგილმდებარეობა	შენიშვნა
			მაწიმი			
1	სოფ. მაწიმი	150	7550	სათავე ნაგებობა	სოფ. მაწიმი	ლითონი
		110	2350			პლასმასი
			შრომა			
2	სოფ. კავშირი	50	1500	სოფ.კავშირი	სოფ. კავშირი	პლასმასი
			ნინიგორი			
3	სოფ. ნინიგორი	100	3043		სოფ. ხიზა	
		150	500	სათავე ნაგებობა	სოფ. გურგენიანი	პლასმასი
		140	250,8			პლასმასი
		110	310,2			პლასმასი
		90	224			პლასმასი
		75	247,4			პლასმასი
		50	566,6			პლასმასი
		40	274			პლასმასი
		32	558			პლასმასი
		250	300			პლასმასი
		114	23			ლითონი
		150	291	სათავე ნაგებობა	სოფ. ხიზა	ლითონი
		160	853			პლასმასი
	სოფ.განათლება	140	349			პლასმასი
		90	1118			პლასმასი
		75	942			პლასმასი
		63	314			პლასმასი
		50	314			პლასმასი
	სოფ. გელათი	50	344			პლასმასი
		32	393			
		100	1300			
		250	700			
	სოფ. ხიზაბავრა	225	307			

		180 160 140	437,5 610 600	სათავე ნაგებობა	სოფ. ხიზაბავრა	
	სოფ. ქვ. გურგენიანი	100 150 250	2800 700 800	სათავე ნაგებობა	სოფ. ზ. გურგენიანი	
	სოფ. ზ. გურგენიანი	100 110	1960 540	სათავე ნაგებობა	სოფ. ხიზაბავრა	ლითონი პლასმასი
	სოფ. ხიზა	100	2000	სათავე ნაგებობა	სოფ. ხიზა	
	<u>ცოდნისკარი</u>					
	სოფ. ცოდნისკარი	100	3000	სათავე ნაგებობა	სოფ. გელათი	
4	სოფ. შეერთება	100 130 70 75 110 110	2000 1600 1500 620 649 397,5	სათავე ნაგებობა	სოფ. გელათი	 პლასმასი პლასმასი
	სოფ. წიფლისწყარო	90 75 63 50	470 543 287 339	ჭაბურღილი	წიფლისწყარო	
	სოფ. თელა	100 100 180 140 110 100 90 50 40	4343 500 372 665 1510 176 1282 210 70	სათავე ნაგებობა	სოფ. ბაისუბანი	
	სოფ. ჩადუნიანი	100 160 140 90 75 63 90 75	6200 112 225 192 192 232 169 170	ჭაბურღილი	ჩადუნიანი	

		63 110	128 101			
	<u>ვარდისუბანი</u>					
	სოფ. სვიდება	200	1700	ჭაბურღილი	სვიდება	
5	სოფ. ვარდისუბანი	300 200 100 110 63 50	1100 2500 3600 700 700 100	ჭაბურღილი	სვიდება ვარდისუბანი	
	სოფ. მშვიდობიანი	100 110 90 75 300 160 140 90 75 63	2850 560 200 250 1800 120 109 96 106 120	ჭაბურღილი	მშვიდობიანი	
	სოფ. საქობო	200 180 160 140 110 90 75 63 50	1520 267 1078 279 327 908 652 652 652	ჭაბურღილი		
	<u>კართუბანი</u>					
6	სოფ. კართუბანი	100 200 75 160 140 110 90 75 63 50 40	2762 4000 1030 658 980 800,8 654 2227 1333,6 966,2 1118,4	ცენტრალური ცენტრალური ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი ჭაბურღილი	ლაგოდეხი ლაგოდეხი კართუბანი კართუბანი კართუბანი კართუბანი კართუბანი კართუბანი კართუბანი კართუბანი კართუბანი	 პლასმასი პლასმასი პლასმასი პლასმასი პლასმასი პლასმასი პლასმასი პლასმასი პლასმასი

	სოფ. ბოლოკიანი	75	850	ჭაბურღილი	კართუბანი	
	სოფ. ნაინდროვალი	150	350	ჭაბურღილი	ნაინდროვალი	
	<u>სოფ. ბაისუბანი</u>					
	სოფ. ბაისუბანი	100	3000	ცენტრალური	ლაგოდეხი	
7	სოფ. პატარაგორი	100	2650	ცენტრალური		
	სოფ. ქვ. მსხალგორი	100	1900	სათავე ნაგებობა	ზემო მსხალგორი	
	სოფ. ზემო მსხალგორი	100 63 25	2000 510 140	სათავე ნაგებობა	ზემო მსხალგორი	
	<u>კაბალი</u>					
	სოფ. კაბალი	200 100 75	18000 18000 1000	ცენტრალური ცენტრალური ჭაბურღილი	კაბალი	
8	<u>ფონა</u>					
	სოფ. ქვ. ხეჩილი	300 300	5900 5900	მდ. კაბალი	ფონა	
	სოფ. ქვ. ხეჩილი	160 140 110 90 75 63 50 70	480 560 720 270 345 105 330 210	მდ. კაბალი	ქვ. ხეჩილი	
9	სოფ. ზემო ხეჩილი	50 32	2000 850	სათავე ნაგებობა	ზ. ხეჩილი	
	ფონა	50 40 32 57	755 150 150 55	სათავე ნაგებობა	ქვ. ხეჩილი	 პლასმასი პლასმასი პლასმასი
	<u>გიორგეთი</u>					
10	სოფ. ვერხვისმინდორი	100-150 50 40 32	1800 79 65 65	ჭაბურღილი	ვერხვისმინდორი	ლითონი პლასმასი პლასმასი პლასმასი

	სოფ. გუჯარეთი		300	ჭაბურღილი	ვერხვისმინდორი	
	<u>აფენი</u>					
	სოფ. აფენი	100:150	35000	ჭაბურღილი	აფენი	
	სოფ. ქვ. ნაშოვარი	150	1300	ჭაბურღილი	აფენი	
	სოფ. ბაღდადი	63	250	ჭაბურღილი	ბაღდადი	
11	აფენი-სტალინის პლანი	90 75 63	253 1000 354	ჭაბურღილი	აფენი	
	ცხაკაია	90 110 140 160 140 75 50	200 600 16 150 600 400 200	ჭაბურღილი	ცხაკაია	
	<u>ლელიანი</u>					
	ლელიანი-ბებურიანი	100:300	12785	ჭაბურღილი	ბებურიანი	
	ბებურიანი	140 110 90 75 63 50 40 32 25	1099,6 820,8 415,4 342 273,6 396,9 21,7 21,7 73,3			
12	აბაშისწილი-ლელიანი II	110	200			
	მირსკისეული	140 110 75 63 50 40 32	100 150 100 100 220 50 100	ჭაბურღილი	მირსკისეული	
	<u>არეშფერანი</u>					
	სოფ. არეშფერანი	150	4000	ჭაბურღილი	არეშფერანი ხოშატიანი	
	კაკლიანი	63	1000	ჭაბურღილი	კაკლიანი	
13	არეშფერანი	63	1000	ჭაბურღილი	არეშფერანი	
	ხოშატიანი	90	150	ჭაბურღილი	ხოშატიანი	

		75 50 32	270 100 75	ჭაბურღილი	ხოშატიანი	
	ქვ. ბოლქვი	140 160	231,4 22	ჭაბურღილი ჭაბურღილი	ქვ. ბოლქვი	
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სათავე ნაგებობის (მაწიმი, ნინიგორი, ზ.გურგენიანი, ხიზაბავრა, ხიზა (ორი), გელათი, ბაისუბანი) და რეზერვუარების (კართუბანი (ორი), ბებურიანი, აფენი, მშვიდობიანი, არეშფერანი (კაკლიანი), წიფლისწყარო) მოვლა პატრონობა					
	ქ. ლაგოდეხში წმინდა ნინოს ქუჩაზე არსებული სასმელი წყალმომარაგების ჭაბურღილის და წყაროს, 26 მაისის ქუჩაზე არსებული ორი სასმელი წყლის სოკოს და ქიზიყის ქუჩაზე არსებული სასმელი წყლის სოკოს მოვლა პატრონობა					

თანახმა ვართ 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ვაწარმოოთ შესაბამისი მომსახურება ზემოთ ჩამოთვლილ წერტილებზე.

/პრეტენდენტის დასახელება/

დირექტორი: /ხელმოწერა/

დანართი N3

სასმელი წყლის სისტემების (სათავე-ნაგებობების, ჭაბურღილებისა და წყალსადენი მილების) ტექნიკური მომსახურების

ხარჯთაღრიცხვა

N	დასახელეა	გან. ერთ.	რაოდ ენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტის ხარჯი		დანახარი ერთ თვეში	დანახარჯი 11 თვეში
				ერთეული	სულ (ლარ)	ერთეული	სულ (ლარ)	ერთეული	სულ (ლარი)		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	სოფლების რაოდენობა	რაოდ	13								
1	წყალმომარაგების მომსახურების პერსონალის ხელფასი	რაოდ	16								
	სასმელი წყლის შემკრები ჭების და სადრენაჟეების დაწმენდა და დაქლორვა პერიოდულად	რაოდ	2								
	წყლის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება	თვე	12								
	მაგისტრალის დაზიანებისა და ურდულების შეკეთება; რეაბილიტაცია	სოფ.	13								
	სულ დანახარჯი										
	ზედნადები ხარჯები %										
	სულ										
	გეგმიური დაგროვება %										
	სულ										
	დ.ღ.გ. 18%										
	სულ										

/პრეტენდენტის დასახელება/
დირექტორი: /ხელმოწერა/

<u>დანართი №4</u>

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულებული მომსახურების ღირებულება
1				
2				
...				
ჯამი (2014 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2015 წელი)				
1				
2				
...				
ჯამი (2016 წელი)				
სულ ჯამი				

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ ბ.ა.